ჩემპიონატი

http://football.mojgorod.ru/cgi-bin/rus/result.cgi?f=v1938&cl=8
დაამატა **ერლან მანაშევმა**

"დინამო" (თბილისი) - "კრილია სოვეტოვი" (მოსკოვი) - 5:3 (2:1)
18 მაისი. თბილისი. სტადიონი "დინამო". 30 000 მაყურებელი.
მსაჯი პ. ფარსადანოვი (ბაქო).
გოლები: 1-0 ბერძენიშვილი (4), 2-0 ჯეჯელავა (18), 2-1 ენუშკოვი (20), 3-1 ბერძენიშვილი (56), 4-1 სომოვი (67), 5-1 ჯეჯელავა (72), 5-2 ნიკიფოროვი (78), 5-3 ნიკიფოროვი (80).
პენალტი ვერ გაიტანა ბერძენიშვილმა (62, მეკარე).

"დინამო" (თბილისი): დოროხოვი, შავგულიძე, ჭუმბურიძე, ჯორბენაძე, მინაევი, კიკნაძე, ჯეჯელავა, ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ბერეჟნოი, სომოვი.

"ლოკომოტივი": ნაზარეტოვი, ევგრაფოვი, ჩერნოვი, პრუგერი, ა. რჟევცევი, ილიჩევი, ნიკიფოროვი, კარასიოვი, ა. რჟევცევი, ვოლკოვი, ენუშკოვი.

"დინამოს" მორიგი გამარჯვება

გუშინ ამხ. ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე, თბილისის "დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა ჩაატარა საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშების მეორე კალენდარული მატჩი ფეხბურთში.

ამ დღეს დინამოელთა წინააღმდეგ თამაშობდა ახალგაზრდა ფეხბურთელთა საკმაოდ ძლიერი კოლექტივი – მოსკოვის "კრილია სოვეტოვ".

მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, სტადიონის ყველა იარუსი ადრევე აივსო ფეხბურთით დაინტერესებულ მაყურებლებით, რომელნიც მოუთმენლად ელოდნენ მატჩის დასაწყისს.

რამდენიმე წუთი და გაისმის მსაჯ ფარსადანოვის (ბაქო) ძახილი. მაყურებლები მხურვალე ოვაციებით ეგებებიან ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ დინამოელთა რიგებში გამოსულ ცნობილ ფეხბურთელ ბ. პაიჭაძეს.

დაიწყო თამაში. თბილისელი თავდამსხმელები ტაიმის პირველ წუთებიდანვე შეიჭრნენ მოწინააღმდეგეთა საჯარიმო მოედანზე და აწარმოებენ მთელ რიგ შემტევით ბრძოლებს. მოსკოველ მეკარეს – ნაზარეტოვს სამი წუთის განმავლობაში საკმაო ნახტომების გაკეთება დასჭირდა მრავალი სერიოზული ბურთის ასაღებად. თამაში კვლავ დინამოელებს მიჰყავთ. მეოთხე წუთზე პაიჭაძემ ოსტატური დრიბლინგებით გაარღვია მცველთა ხაზი და ზუსტად გაუჭრა ბურთი მარცხენა გარემარბს – სომოვს. მეკარე მზადაა კარისგან ორი მეტრით დაშორებულ სომოვის მიერ დარტყმულ მოსალოდნელ ბურთის ასაღებად, მაგრამ ეს უკანასკნელი კარის მაგივრად, ბურთს მოფიქრებულად გზავნის დინამოელ თავდამსხმელთა მარჯვენა ფრთისაკენ. აქ კი ზუსტ ადგილზე ხვდება მ. ბერძენიშვილი მიღებულ ბურთს და ძლიერი გარტყმით პაიჭაძესა და სომოვის პირველ კომბინაციურ თამაშს აგვირგვინებს პირველი გოლით – 1:0 "დინამოს" სასარგებლოდ.

ამ მდგომარეობამ სტუმრები საგრძნობლად გამოაცოცხლა. ისინი გადადიან კონტრშეტევებზე. განსაკუთრებით კარგად თამაშობს თავდამსხმელთა ხუთეული, კერძოდ კი, მარჯვენა და მარცხენა გარემარბები. ეს უკანასკნელნი ხშირად აწუხებენ დოროხოვს მეტად ძლიერი და ზუსტად დარტყმული ბურთებით. რამდენიმე წუთის შემდეგ თამაში ცენტრში გადადის. ხოლო მე-15 წუთიდან ის კვლავ დინამოელებს მიჰყავთ. მეჩვიდმეტე წუთზე პაიჭაძისაგან მიღებულ ბურთს მ. ბერძენიშვილი აწვდის ჯეჯელავას. ეს უკანასკნელი გადის გარღვევაზე და მეკარე ნაზარეტოვს მეორედ უხდება ბურთის გამოტანა ბადიდან – 2:0 "დინამოს" სასარგებლოდ.

თბილისელები თითქოს დაკმაყოფილდნენ მიღწევით და ადუნებენ ტემპს, სტუმრები კი მეტი ენერგიით თამაშობენ და აღწევენ მიზანს – მარცხენა გარემარბს ლამაზად გააქვს პირველი ბურთი. ტაიმის გამთავრებამდე ერთი წუთით ადრე მოსკოველები დაჯარიმდნენ პენალტით. მ. ბერძენიშვილის მიერ დარტყმული ბურთი სხარტი ნახტომით მოიგერია მეკარემ. პირველი ტაიმი დამთავრდა 2:1 "დინამოს" სასარგებლოდ.

მეორე ტაიმის დასაწყისში თბილისელები თავბრუდამხვევ ტემპს ავითარებენ. სტუმართა დაცვამ ვერ აუღო ალღო დინამოელთა შეტევას და მე-7, მე-8 და მე-11 წუთზე ბერძენიშვილს, სომოვს და

ჯეჯელავას გააქვთ თითო ბურთი. ტაიმის დამთავრებამდე სტუმრები ახერხებენ ორი საპასუხო ბურთის გატანას. მატჩი დამთავრდა 5:3 თბილისელთა სასარგებლოთ.

ამრიგად დინამოელებმა მოიპოვეს ორი ახალი ქულა. მათ ორი მატჩიდან მოაგროვეს შესაძლებლობათა მაქსიმუმი – 4 ქულა.

“დინამოდან” კარგად თამაშობდნენ პაიჭაძე, ჯეჯელავა, ბერეჟნოი, ბერძენიშვილი და ჭუმბურიძე.

ვ. გ-ლია
“მუშა”, 19 მაისი, 1938 წ.